განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:
წარმოდგენილი პროექტის მომზადება განპირობებულია დანაშაულის პრევენციის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ეფექტიანობის გაზრდის საჭიროებით.

იარაღი წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იარაღთან კონტაქტში მყოფი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა იყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისი. პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების კუთხით არსებული მექანიზმები, მაგალითად როგორიც არის ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს პოტენციური რისკების გამორიცხვას. კერძოდ, შესაძლებელია პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაში მოცემული ინფორმაცია არაზუსტი ან არასრული იყოს. ასევე, პირს ჯანმრთელობის, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის პრობლემა შეიძლება წარმოეშვას „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლიცენზიის (ნებართვის) მიღების შემდეგ. ასეთი პირი საფრთხეს წარმოადგენს როგორც საკუთარი, ასევე, სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. არსებული მდგომარეობით, შესაბამისი ორგანოების მიერ შეუძლებელია ასეთ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება და საჭირო რეაგირების განხორციელება.

ანალოგიურად, გამოწვევას წარმოადგენს პირისთვის სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლების მინიჭების, სამხედრო-საბრძოლო იარაღის გადაცემის და ასეთი უფლების მქონე პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საკითხი, რაც ასევე მომეტებული საფრთხის მატარებელია.

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლიცენზიის (ნებართვის) გაცემისთვის/ფლობისთვის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლების მინიჭებისთვის/ფლობისთვის ასევე, სამხედრო-საბრძოლო იარაღის გადაცემისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, ინფორმაცია პირის ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით ან ტოქსიკომანიით დაავადების შესახებ. სწორედ აღნიშნული ფაქტორები ზრდის პირის მიერ იარაღის არასათანადოდ გამოყენებისა და პოტენციურად დანაშაულის ჩადენის რისკებს. ამ კუთხით, პრობლემას წარმოადგენს

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე, ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით ან/და ტოქსიკომანიით დაავადებულ პირთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის არარსებობა. ამგვარი ბაზის არარსებობის პირობებში შესაბამის ორგანოებს, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჭიროებისამებრ არ აქვთ წვდომა პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის, ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით ან/და ტოქსიკომანიით დაავადების შესახებ მონაცემებზე. აღნიშნული კი მნიშვნელოვნად აბრკოლებს შესაბამისი ორგანოების მიერ გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევას ისეთი სერვისების განხორციელებისას, როგორიც არის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლიცენზიის (ნებართვის) გაცემა, აგრეთვე, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლების მინიჭება და სამხედრო-საბრძოლო იარაღის გაცემა.

ზემოაღნიშნულ გამოწვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით იქმნება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე, ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით ან/და ტოქსიკომანიით დაავადებულ პირთა ერთიანი საინფორმაციო ბაზა (შემდგომ – ერთიანი საინფორმაციო ბაზა). წინამდებარე კანონპროექტით კი განისაზღვრება დასახელებულ ბაზაზე წვდომის საფუძვლები და შესაბამის ორგანოთა მიერ განსახორციელებელი შემდგომი რეაგირების მექანიზმები. წარმოდგენილი ცვლილებები უზრუნველყოფს, რომ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამო ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირს ხელი არ მიუწვდებოდეს იარაღზე.

ამასთან, ზემოხსენებულ გამოწვევებთან ერთად, არსებობს იარაღის ბრუნვის კონტროლთან დაკავშირებით პრაქტიკაში გამოვლენილი სხვა ხარვეზების აღმოფხვრის აუცილებლობა. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, იდენტური მარკისა და მოდელის იარაღის ან გარკვეული რაოდენობის იარაღის შეძენის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში პირი ვალდებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს წარუდგინოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილი პირის თანხმობა.

საყურადღებოა, რომ „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს იდენტური მარკისა და მოდელის ან გარკვეული რაოდენობის იარაღის საქართველოში შემოტანის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს თანხმობის მოპოვების ვალდებულებას. აღნიშნული რეგულირების არარსებობის პირობებში იქმნება საქართველოს მოქალაქის მიერ იდენტური მარკისა და მოდელის ან გარკვეული რაოდენობის იარაღის საქართველოში შემოტანის შემდეგ მისთვის შესაბამისი იარაღის შეძენაზე უარის თქმის შესაძლებლობა. შესაბამისად, კანონპროექტით საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს თანხმობის წარდგენის ვალდებულება ასევე გავრცელდება

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ განსაზღვრული კონკრეტული სახის/ტიპის იარაღის ან იდენტური მარკისა და მოდელის ან გარკვეული რაოდენობის იარაღის საქართველოში შემოტანის შემთხვევაზეც, რათა შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს თანხმობის არარსებობა დადგინდეს იარაღის საქართველოში შემოტანის ეტაპზევე.

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 16[1] მუხლის თანახმად, შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, დასაშვებია ფიზიკური პირის მიერ პირადი მოხმარების მიზნით, აღნიშნულ პირზე რეგისტრირებული სანადირო გლუვლულიანი, ხრახნილლულიანი ან კომბინირებული ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი ვაზნის გადამუხტვა. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქის მიერ საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის შესაძლებლობას.

ფიზიკური პირის მიერ სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნის პირადი მოხმარების მიზნით გადამუხტვასთან დაკავშირებული პროცედურების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, კანონპროექტის მიხედვით, პირადი მოხმარების მიზნით ვაზნის გადამუხტვის უფლების მქონე პირს ენიჭება აღნიშნულ პირზე რეგისტრირებული იარაღისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის უფლებამოსილება.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:
„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლიცენზიის (ნებართვის) გაცემამდე, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლების მინიჭებამდე და სამხედრო-საბრძოლო იარაღის გადაცემამდე, ასეთი ლიცენზიის (ნებართვის) და უფლების მქონე პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ერთიან საინფორმაციო ბაზაში გადამოწმებისა და შესაბამისი უწყებების მიერ შემდგომი რეაგირების მექანიზმების გამოყენებისთვის საჭიროა არსებობდეს სამართლებრივი რეგულაციები. შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნისათვის აუცილებელია „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:
კანონპროექტის მიღების შედეგად, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლიცენზიის (ნებართვის) გამცემი, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლების მიმნიჭებელი და სამხედრო-საბრძოლო იარაღის გამცემი შესაბამისი ორგანოები ვალდებულნი იქნებიან პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონაცემები მოიპოვონ ერთიანი საინფორმაციო ბაზის საშუალებით. აგრეთვე, შესაბამისი ორგანოები უფლებამოსილნი იქნებიან ერთიანი საინფორმაციო ბაზის საშუალებით

განახორციელონ „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლიცენზიის (ნებართვის) მფლობელისა და სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლების მქონე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემდგომი გადამოწმება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლიცენზიის (ნებართვის) გამცემ ორგანოს განესაზღვრება ვალდებულება, ლიცენზიის (ნებართვის) მაძიებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონაცემები მოიპოვოს ერთიანი საინფორმაციო ბაზის საშუალებით. აგრეთვე, შესაბამისი ორგანო უფლებამოსილი იქნება ერთიანი საინფორმაციო ბაზის საშუალებით განახორციელოს ლიცენზიის (ნებართვის) მფლობელის ჯანმრთელობის მდგომარეობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემდგომი გადამოწმება.

პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის ერთიანი საინფორმაციო ბაზის საშუალებით შემოწმების ვალდებულება ასევე განისაზღვრება სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლების მინიჭებისა და სამხედრო-საბრძოლო იარაღის გადაცემის პროცესშიც. კერძოდ, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლების მინიჭებამდე შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულება ვალდებული იქნება პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონაცემები მოიპოვოს ერთიანი საინფორმაციო ბაზის საშუალებით. ამასთან, შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულება უფლებამოსილი იქნება ერთიანი საინფორმაციო ბაზის საშუალებით განახორციელოს სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლების მქონე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემდგომი გადამოწმება. იმ შემთხვევაში, როდესაც სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლების დადასტურება ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მერ შესაბამისი ნებართვის გაცემით, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონაცემების ერთიანი საინფორმაციო ბაზის საშუალებით მოპოვების ვალდებულება და შემდგომი გადამოწმების უფლებამოსილება განესაზღვრება სააგენტოს. დასახელებული უზრუნველყოფს ერთიან საინფორმაციო ბაზაზე წვდომის მხოლოდ შესაბამისი დაწესებულებებისთვის განსაზღვრას.

სამხედრო-საბრძოლო იარაღთან მიმართებით შესაბამისი დაწესებულებისთვის განისაზღვრება სამხედრო-საბრძოლო იარაღის მოსამსახურისათვის გადაცემამდე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონაცემების ერთიანი საინფორმაციო

ბაზის საშუალებით მოპოვების ვალდებულება. აგრეთვე, შესაბამისი დაწესებულება უფლებამოსილი იქნება ერთიანი საინფორმაციო ბაზის საშუალებით განახორციელოს ზემოაღნიშნული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემდგომი გადამოწმება.

კანონპროექტით „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ინერგება ახალი ინსტიტუტი ლიცენზიის (ნებართვის) შეჩერების თაობაზე. აღნიშნული ინსტიტუტი დაკავშირებული იქნება ლიცენზიის (ნებართვის) მფლობელის ფსიქიკურად, ასევე, ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით ან ტოქსიკომანიით დაავადებასთან. კერძოდ, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ[1]“ და „დ[4]“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე გარემოების წარმოშობის შესახებ მონაცემების ერთიანი საინფორმაციო ბაზის საშუალებით მიღების შემთხვევაში ლიცენზიას ან/და იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვას ავტომატურად შეუჩერდება იურიდიული ძალა. ნებართვის მფლობელს 30 დღის ვადით შეუნარჩუნდება იარაღის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით განკარგვის უფლება.

აღსანიშნავია, რომ ერთიან საინფორმაციო ბაზაში არსებული მონაცემების მიმართ იმოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია.

კანონპროექტით რეგულირდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ნებართვის შეჩერების პროცედურა. კერძოდ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ნებართვის მფლობელის ჯანმრთელობის მდგომარეობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 48 საათის ვადაში საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო ვალდებული იქნება ნებართვის შეჩერების თაობაზე შეატყობინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს.

ზემოაღნიშნული შეტყობინების მიღების შემდგომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილი პირი გამოცხადდება იარაღის ნებართვის მფლობელის საცხოვრებელ ადგილზე/იარაღის შენახვის ადგილზე და ნებართვის მფლობელს შეატყობინებს ნებართვის შეჩერების თაობაზე. ნებართვის შეჩერების თაობაზე შეტყობინებასთან ერთად უფლებამოსილი პირი მოახდენს იარაღის ჩამორთმევას. შესაბამისად, იარაღის ჩამორთმევისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ საფუძვლებს ემატება ლიცენზიის (ნებართვის) შეჩერების დროს იარაღის ჩამორთმევის შემთხვევა.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში პირი ვალდებული იქნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილი პირი დაუშვას საცხოვრებელ

ადგილზე/იარაღის შენახვის ადგილზე იარაღის ჩამორთმევის მიზნით. პირის მიერ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილ პირს უფლება ექნება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოიყენოს იძულების ღონისძიებები. იმ შემთხვევაში, თუ პირი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილ პირს საცხოვრებელ ადგილზე/იარაღის შენახვის ადგილზე იარაღის ჩამოსართმევად არ დაუშვებს, პირს შესაბამისი ნებართვა გაუუქმდება.

კანონპროექტით ლიცენზიის (ნებართვის) მფლობელს განესაზღვრება ლიცენზიის (ნებართვის) შეჩერების თაობაზე შეტყობინების მომენტიდან 30 დღიანი ვადა, რათა უზრუნველყოს შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრა ან/და იარაღის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგვა. შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრა შესაძლებელია გულისხმობდეს ერთიან საინფორმაციო ბაზაში პირის შესახებ შესაბამისი მონაცემების რედაქტირებას, წაშლას და სხვა. თუ ლიცენზიის (ნებართვის) მფლობელი ლიცენზიის (ნებართვის) შეჩერების თაობაზე შეტყობინების მომენტიდან 30 დღის ვადაში არ უზრუნველყოფს შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას, მას ლიცენზია (ნებართვა) გაუუქმდება. ხოლო აღნიშნულ ვადაში ლიცენზიის (ნებართვის) მფლობელის მიერ ლიცენზიის (ნებართვის) შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრისას მას აღუდგება შესაბამისი ლიცენზია (ნებართვა) და დაუბრუნდება ჩამორთმეული იარაღი.

საყურადღებოა, რომ 2025 წლის 1 აგვისტომდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლიცენზიის (ნებართვის) მფლობელ იმ პირთა ერთიან საინფორმაციო ბაზაში გადამოწმებასა და სათანადო საფუძვლის არსებობისას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მათთვის შესაბამისი ლიცენზიის (ნებართვის) გაუქმებას, რომლებმაც აღნიშნული ლიცენზია (ნებართვა) 2025 წლის 1 იანვრამდე მოიპოვეს.

ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, წარმოების, ერთიან საინფორმაციო ბაზაში არსებულ მონაცემთა მოპოვებისა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ერთიანი საინფორმაციო ბაზის საშუალებით მოპოვებულ მონაცემებზე რეაგირების, მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლების მქონე პირისთვის შეტყობინების, იარაღის ჩამორთმევისა და იარაღის დაბრუნების წესი განისაზღვრება შესაბამისი დაწესებულების სამართლებრივი აქტით. ხოლო, სამხედრო-საბრძოლო იარაღთან მიმართებით ერთიანი საინფორმაციო ბაზის საშუალებით მოპოვებულ მონაცემებზე რეაგირების წესი განისაზღვრება შესაბამისი დაწესებულების ნორმატიული აქტით.

ლიცენზიის (ნებართვის) შეჩერების თაობაზე ლიცენზიის (ნებართვის) მფლობელისათვის შეტყობინების, იარაღის ჩამორთმევისა და იარაღის დაბრუნების წესი განისაზღვრება ლიცენზიის (ნებართვის) გამცემი შესაბამისი ორგანოს ნორმატიული აქტით.

ამასთან, იდენტური მარკისა და მოდელის ან გარკვეული რაოდენობის იარაღის საქართველოში შემოტანისა და შეძენის ნებართვების მოპოვების პროცედურასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად კანონპროექტით გათვალისწინებულია პირის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში კონკრეტული სახის/ტიპის იარაღის ან იდენტური მარკისა და მოდელის ან გარკვეული რაოდენობის იარაღის საქართველოში შემოტანის ნებართვის მიღების მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილი პირის თანხმობის წარდგენის ვალდებულება.

საყურადღებოა, რომ ზემოხსენებული ცვლილების გათვალისწინებით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ განსაზღვრული კონკრეტული სახის/ტიპის იარაღის ან იდენტური მარკისა და მოდელის ან გარკვეული რაოდენობის იარაღის საქართველოში შემოტანის მსურველი საქართველოს მოქალაქის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს თანხმობის წარუდგენლობა გახდება შესაბამისი ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

ფიზიკური პირის მიერ სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნის პირადი მოხმარების მიზნით გადამუხტვასთან დაკავშირებული პროცედურების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, კანონპროექტით პირადი მოხმარების მიზნით ვაზნის გადამუხტვის უფლების მქონე პირს ენიჭება აღნიშნულ პირზე რეგისტრირებული იარაღისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის უფლებამოსილება.

ამასთან, დგინდება, რომ საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების მოცულობა და ტექნიკური მახასიათებლები, რომელთა საქართველოში შემოტანა ან საქართველოდან გატანა დასაშვებია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 22-ე პუნქტით გათვალისწინებული ნებართვის ფარგლებში, განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

ასევე, კანონპროექტით ზუსტდება, რომ პირადი მოხმარების მიზნით ვაზნის გადამუხტვის უფლების მქონე პირს აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების შეძენის უფლება.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):
ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:
კანონი, გარდა კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ვინაიდან, მისი ამოქმედებისათვის დამატებითი პირობები ან ვადები არ არის საჭირო და მნიშვნელოვანია მისი დროული ამოქმედება. კანონის პირველი მუხლის ამოქმედების თარიღად განისაზღვრა 2025 წლის 1 იანვარი, რადგან აღნიშნულ ვადამდე აუცილებელია, შესაბამისამ უწყებებმა განახორციელონ კანონის სრულად ასამოქმედებლად საჭირო მთელი რიგი ღონისძიებები. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):
კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
კანონპროექტის მიღებით გამოწვეული აუცილებელი ხარჯების დაფინანსება განხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საბიუჯეტო ასიგნებათა ფარგლებში.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტით დგინდება პირადი მოხმარების მიზნით ვაზნის გადამუხტვის უფლების მქონე პირის მიერ აღნიშნულ პირზე რეგისტრირებული იარაღისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის შესაძლებლობა. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტის მიხედვით აღნიშნული ნებართვის გაცემისათვის გაწეული მომსახურების საფასური ერთ ერთეულ იარაღზე ან იარაღის ერთ ერთეულ ძირითად ელემენტზე არის 10 ლარი, ხოლო ერთ ერთეულ საბრძოლო მასალაზე (ვაზნაზე) ან ერთ ერთეულ საბრძოლო მასალის ძირითად ელემენტზე (ჭურვი, მასრა, კაფსულა)/ 1 გრამ მაინიციირებელ ფეთქებად ნივთიერებაზე (დენთი) – 0,1 ლარი. ამასთან, პაკეტით

განისაზღვრება შესაბამისი სანებართვო მოსაკრებელი 8 ლარის ოდენობით. თითოეული გაცემული ნებართვისთვის გადახდილი მოსაკრებელი (8 ლარი) ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, რითაც გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, თუმცა, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე კანონპროექტის გავლენის ზუსტი ოდენობა დამოკიდებული იქნება შესაბამისი პირების მიერ ნებართვის აღების ყოველწლიურ მაჩვენებელზე.

კანონპროექტის თანახმად, თუ ლიცენზიის (ნებართვის) მფლობელი ლიცენზიის (ნებართვის) შეჩერების თაობაზე შეტყობინების ჩაბარების მომენტიდან 30 დღის ვადაში არ უზრუნველყოფს შესაბამისი საფუძვლის აღმოფხვრას ან/და იარაღის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგვას, ლიცენზია (ნებართვა) უქმდება, ხოლო ჩამორთმეული იარაღი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიექცევა სახელმწიფოს საკუთრებაში. რადგანაც ჩამორთმეული იარაღი სახელმწიფოს საკუთრებაში მიექცევა, დასაშვები იქნება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მისი აუქციონის წესით რეალიზაცია. თუმცა, სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე აღნიშნულის გავლენის ზუსტი ოდენობა დამოკიდებული იქნება კანონპროექტით გათვალისწინებული წესით სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული იარაღების რაოდენობაზე, ასევე კონკრეტული იარაღის ღირებულებაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტით გათვალისწინებული მექანიზმების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები დაიფარება შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსის ფარგლებში.

კანონპროექტით გათვალისწინებული ერთიანი საინფორმაციო ბაზა შეიქმნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. ამასთან, ბაზის შექმნის პროცესში აქტიურად იქნება ჩართული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა არ იქნება დაკავშირებული დამატებით ხარჯებთან, რადგან აღნიშნული განხორციელდება დასახელებულ უწყებებში დასაქმებული შესაბამისი IT სპეციალისტებისა და ანალიტიკოსების დახმარებით.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:
კანონპროექტმა შესაძლებელია გავლენა მოახდინოს შესაბამისი ნებართვის მაძიებელი პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, რადგან პირადი მოხმარების მიზნით ვაზნის გადამუხტვის უფლების მქონე პირს ენიჭება აღნიშნულ პირზე რეგისტრირებული იარაღისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის უფლებამოსილება, რისთვისაც წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტით გათვალისწინებული იქნება შესაბამისი საფასური და სანებართვო მოსაკრებელი.

ამასთან, კანონპროექტით გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კონკრეტული სახის/ტიპის იარაღის ან იდენტური მარკისა და მოდელის ან გარკვეული რაოდენობის იარაღის საქართველოში შემოტანის მსურველი პირების მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს თანხმობის მოპოვების ვალდებულება გავლენას არ მოახდენს შესაბამისი პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, რადგან თანხმობის მოპოვებისთვის არ არის გათვალისწინებული შესაბამისი საფასური ან მოსაკრებელი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:
კანონპროექტით პირადი მოხმარების მიზნით ვაზნის გადამუხტვის უფლების მქონე პირს ენიჭება აღნიშნულ პირზე რეგისტრირებული იარაღისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის უფლებამოსილება, რისთვისაც წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტით გათვალისწინებული იქნება შესაბამისი საფასური და სანებართვო მოსაკრებელი.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:
კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:
საქართველოს მთავრობა.